

მწვავე ვირუსული ენცეფალიტი ბავშვებში: კლინიკური გამოვლინებები და დიაგნოსტიკა

თარგმნა: ნანო შვანგირაძე

სტატია ნათარგმნია UpToDate-ს სამედიცინო ბაზიდან,

შესავალი

ენცეფალიტი არის ტვინის პარენქიმის ანთება, რომელიც ვლინდება ნევროლოგიური დისფუნქციით (მაგ. შეცვლილი ფსიქიკური მდგომარეობა, ქცევა ან პიროვნება; მოტორული ან სენსორული დეფიციტი; მეტყველების ან მოძრაობის დარღვევები; კრუნჩხვები) და ცენტრალური ნერვული სისტემის ანთების ნიშნებით (მაგ. ცერებროსპინალური სითხის პლეოციტოზი და/ან ენცეფალიტის შესაბამისი ნიშნები ნეიროვიზუალიზაციის ან ელექტროენცეფალოგრამის მიხედვით).

აქ განხილული იქნება ბავშვებში ვირუსული ენცეფალიტის კლინიკური გამოვლინებები და დიაგნოზი. ბავშვებში ვირუსული ენცეფალიტის პათოგენეზი, ეტიოლოგია, მკურნალობა და პრევენცია ცალკეა განხილული.

ტერმინოლოგია

ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) ინფექციები განიხილება ინფექციის ლოკალიზაციის მიხედვით:

- **ენცეფალიტი** – ენცეფალიტი განისაზღვრება, როგორც ტვინის პარენქიმის ანთება და ვლინდება ნევროლოგიური დისფუნქციის ნიშნებით. დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებია ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილება (ცნობიერების დონის დაქვეითება, ლეთარგია, პიროვნების ცვლილება, უჩვეულო ქცევა), რომელიც გრძელდება მინიმუმ 24 საათის განმავლობაში, კრუნჩხვები და/ან კეროვანი ნევროლოგიური ნიშნები, რომლებსაც ხშირად თან ახლავს ცხელება, თავის ტკივილი, გულისრევა და ღებინება [1]. (იხილეთ „კლინიკური მახასიათებლები“ ქვემოთ.)
- **მენინგიტი** – მენინგიტი არის ტვინის გარსების ანთება და როგორც წესი, ვლინდება ცხელებით, თავის ტკივილით, გულისრევით, ღებინებით, ფოტოფობიით და კისრის გაშეშებით.
- **რომბენცეფალიტი** – რომბენცეფალიტი, ანუ ტვინის ღეროს ენცეფალიტი, ხასიათდება მიოკლონური კანკალით, ტრემორით, ატაქსიით, თავის ქალას ნერვების დაზიანებით, სუნთქვის დარღვევებით, შოკით და კომით.

- **მიელიტი** – მიელიტი ზურგის ტვინის ანთებაა და ხასიათდება სისუსტით, დამბლით, ნაწლავების და/ან შარდის ბუშტის დისფუნქციით, ტონუსისა და რეფლექსების ცვლილებით.

- **რადიკულიტი** – რადიკულიტი ნერვული ფესვების ანთებაა და ხასიათდება სისუსტით, მძაფრი ტკივილით, დიზეთეზიით და რეფლექსების შემცირებით.

ზოგიერთი ვირუსი იწვევს ნაკლებად გამოკვეთილ გამოვლინებებს - ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექცია და აღწერილია უფრო ფართო ტერმინებით:

- **მენინგოენცეფალიტი** – მენინგოენცეფალიტი აღნიშნავს ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციას, რომელიც ვლინდება მენინგეების და ტვინის პარენქიმის ანთების ნიშნებითა და სიმპტომებით.

- **ენცეფალომიელიტი** – ენცეფალომიელიტი აღნიშნავს ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციას, რომელიც ვლინდება ტვინის პარენქიმის და ზურგის ტვინის ანთების ნიშნებითა და სიმპტომებით.

ტვინის ფუნქციის დარღვევა განასხვავებს ენცეფალიტს მენინგიტისგან. ამ ერთეულებს შორის განსხვავება ხშირად ბუნდოვანია, რადგან ორივე შეიძლება ერთდროულად იყოს წარმოდგენილი; თუმცა, მნიშვნელოვანია ენცეფალიტის არსებობის დადგენა, რადგან სავარაუდო მიზეზები შეიძლება გარკვეულწილად განსხვავდებოდეს (**ცხრილი 1**).

- **ენცეფალოპათია** – ენცეფალოპათია არის ტვინის ფუნქციის დარღვევა ტვინის პარენქიმაში პირდაპირი ანთებითი პროცესის არარსებობის პირობებში (მაგ. გამოწვეული მეტაბოლური დარღვევით, ჰიპოქსიით, იშემიით, მედიკამენტებით, ინტოქსიკაციებით, ორგანოების დისფუნქციით, სისტემური ინფექციით).

ცხრილი 1.

ბავშვებში ცენტრალური ნერვული სისტემის ვირუსული ინფექციების კლინიკური ნიშნები

ეტიოლოგია	მენინგიტის და ენცეფალიტის შედარებით სიხშირე	პოტენციური კლინიკური ნიშნები
ენტეროვირუსები		
A და B კოკსაკის ვირუსები ექოვირუსები, ენტეროვირუსები (მაგ. A71)	მენინგიტი > ენცეფალიტი	გამონაყარი, ჰერპანგინა, ხელის, ფეხისა და პირის დაავადება, კონიუქტივიტი, ფარინგიტი, პლევროდინია, მიოპერიკარდიტი.
პოლიოვირუსები	მენინგიტი> ენცეფალიტი	ფლაციდური პარალიზი
პარეჩოვირუსები		
პარეჩოვირუსი - ტიპი 3	მენინგიტი > ენცეფალიტი	პალმალური და პლანტარული გამონაყარი. მცირე ასაკის ჩვილებში სეფსისის მსგავსი ავადობა.
Arthropod-borne viruses (არბოვირუსები)		
West Nile ვირუსი	ენცეფალიტი > მენინგიტი	გამონაყარი; კოლოს ნაკბენი
St. Louis-ის ენცეფალიტის ვირუსი	ენცეფალიტი = მენინგიტი	კოლოს ნაკბენი
La Crosse (კალოფორნია) ენცეფალიტის ვირუსი	ენცეფალიტი> მენინგიტი	კოლოს ნაკბენი
აღმოსავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი	ენცეფალიტი > მენინგიტი	კოლოს ნაკბენი
დასავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი	ენცეფალიტი = მენინგიტი	კოლოს ნაკბენი

პოვასანის ვირუსი	ენცეფალიტი > მენინგიტი	ტკიპის ნაკბენი
ჰერპესვირუსები		
მარტივი ჰერპესი ტიპი 1	ენცეფალიტი > მენინგიტი	ორალური დაზიანება
მატრივი ჰერპესი ტიპი 2	მენინგიტი> ენცეფალიტი	გენიტალური დაზიანება, საკრალური რადიკულოპათია (შარდის შეკავება, შეკრულობა, პარესთეზია, სისუსტე)
ციტომეგალოვირუსი	ენცეფალიტი> მენინგიტი	დღენაკლული ახალშობილი; იმუნოკომპრომეტირებული მასპინძელი
ვარიცელა ზოსტერი	მენინგიტი > ენცეფალიტი	ვეზიკულური გამონაყარი; ზოსტერის ჰერპესული ლიქენი (ვირუსის რეაქტივაციის ზოგიერთ შემთხვევაში გამონაყარი შეიძლება არ იყოს წარმოფხვნილი)
ეპშტეინ-ბარის ვირუსი	ენცეფალიტი > მენინგიტი	ინფექციური მონონუკლეოზის წინა ნიშნები - სისუსტე, თავის ტკივილი, ცხელება, ფარინგიტი, ცერვიკალური ლიმფური კვანძების გადიდება.
სხვა ვირუსები		
HIV (მაგ. მწვავე რეტროვირუსული სინდრომი)	ენცეფალიტი =მენინგიტი	ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება, მაღალი რისკის შემცველი სექსუალური ქცევა
გრძის ვირუსი	ენცეფალიტი > მენინგიტი	კლასიკური გრძის სიმპტომები - ცხელება, ხველა, ღებინება, თავის ტკივილი, დიარეა
ლიმფოციტების ქოროიმენინგიტის ვირუსი	მენინგიტი> ენცეფალიტი	მღრღნელები ან კონტაქტი მღრღნელების ექსკრემენტებთან ან შარდთან
წითელას ვირუსი	ენცეფალიტი > მენინგიტი	ხველა, სურდო, კონიუნქტივიტი; გვხვდება არავაქცინირებულ ან არასრულად ვაქცინირებულ პირებში
ყბაყურას ვირუსი	მენინგიტი > ენცეფალიტი	მტკივნეული პაროტიტი; გვხვდება არავაქცინირებულ ან არასრულად ვაქცინირებულ პირებში

ცოფის ვირუსი	ენცეფალიტი> მენინგიტი	ცხოველებთან კონტაქტი; არასპეციფიკური სიმპტომების პროდრომი (ცხელება, თავის ტკივილი, სისუსტე, მიალგია, ხველა, ყელის ტკივილი, გულისრევა, ღებინება)
SARS-CoV-2	ენცეფალიტი = მენინგიტი	COVID-19-ის წინა ნიშნები - სიცხე, ხველა, რესპირატორული სიმპტომები
ზიკა ვირუსი	ენცეფალიტი > მენინგიტი	კოლოს ნაკბენი; ენდემურ კერაში მცხოვრები ან მოგზაურობა.

COVID-19: კორონავირუსული დაავადება. კოვიდ- 19. **2019 (COVID-19); HIV:** ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი; **SARS-CoV-2:** კორონავირუსით გამოწვეული მწვავე რესპირატორული სინდრომი².

კლინიკური მახასიათებლები

განმარტების თანახმად, ენცეფალიტი ვლინდება ინფექციისთვის დამახასიათებელი გამოხატულებებით ნევროლოგიური დისფუნქციის ნიშნებთან ერთად, რომლებიც შეიძლება ცვალებადი იყოს.

გავრცელებული სიმპტომები და ნიშნებია [2,3]:

- ❖ ცხელება (75-დან 80 პროცენტამდე)
- ❖ რუნჩხვები (50-დან 75 პროცენტამდე)
- ❖ გაღიზიანება ან უჩვეულო ქცევა (55 პროცენტი)
- ❖ ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები (მაგ. კრანიალური ნერვების დამბლა, პათოლოგიური მოძრაობები, სისუსტე; 50-დან 60 პროცენტამდე შემთხვევებში)
- ❖ ცნობიერების დაქვეითება (45-დან 55 პროცენტამდე შემთხვევებში)

კლინიკური გამოვლინებები შეიძლება განსხვავდებოდეს პაციენტის ასაკისა და იმუნური სტატუსის, გამომწვევი ვირუსის და ტვინის დაზიანებული რეგიონის (რეგიონების) მიხედვით [3,4].

● **ახალშობილები და მცირეწლოვანი ჩვილები** - როგორც ახალშობილებში (0-დან 28 დღემდე) და მცირეწლოვან ჩვილებში სხვა ინფექციების შემთხვევაში, ენცეფალიტის გამოვლინება შეიძლება არასპეციფიკური იყოს. ენცეფალიტი უნდა განიხილებოდეს ყველა იმ ახალშობილში ან მცირეწლოვან ჩვილში, რომელსაც აქვს ცხელება, კრუნჩხვები, კვების გაძნელება, გაღიზიანება ან ლეთარგია. ენცეფალიტით და თანმხლები დისემინირებული ვირუსული ინფექციით (მაგ. ჰერპეს სიმპლექსის ვირუსი [HSV], ენტეროვირუსები და პარეჩოვირუსები) დაავადებულ ჩვილებში შესაძლოა განვითარდეს პერფუზიის შემცირება. ცხელება ცვალებადი ნიშანია.

ვირუსული დაავადების მქონე ახალშობილებს, განსაკუთრებით HSV-ს და ენტეროვირუსს, ცენტრალური ნერვული სისტემის (CNS) და მძიმე სისტემური დაავადების განვითარების რისკი აქვთ.

● **ბავშვები და მოზარდები** – უფროსი ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში ენცეფალიტი შეიძლება გამოვლინდეს ცხელებით, ფსიქიატრიული სიმპტომებით, ემოციური ლაბილობით, მოძრაობის დარღვევით, ატაქსიით, კრუნჩხვებით, სტუპორით, ლეტარგიით, კომით ან ლოკალიზებული ნევროლოგიური ცვლილებებით (მაგ. პარეზი, კრანიალური ნერვების დეფექტებით) [5,6]. მძიმე შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიური სტატუსი, თავის ტვინის შეშუპება, ანტიდიურეზული ჰორმონის არასათანადო სეკრეციის სინდრომი (SIADH) და/ან კარდიორესპირატორული უკმარისობა.

შეფასება

მიმოხილვა — ენცეფალიტი მწვავე, სიცოცხლისთვის საშიში გადაუდებელი შემთხვევაა და სწრაფი ამოცნობისა და შესაბამისი მართვისთვის აუცილებელია სისტემატური მიდგომა (ცხრილი 2).

ცხრილი 2.

ერთ თვეზე უფროსი ასაკის ბავშვებში ენცეფალიტის საექვო შემთხვევის საწყისი შეფასება და მართვა.

ანამნეზი
სიმპტომები - ცხელება, ცნობიერების დონის დაქვეითება, გაღიზიანება ან პიროვნების/ქცევის ცვლილება, კრუნჩხვები, ფოკალური ნევროლოგიური დარღვევები
მოგზაურობა
ექსპოზიცია (ცხოველები, მწერები, მტკნარი წყალში ცურვა, ტოქსინები)
იმუნიზაცია და იმუნური სტატუსი
ფიზიკური მახასიათებლები
სასიცოცხლო ნიშნები და ზოგადი გამოკვლევა
ნევროლოგიური გამოკვლევა, განსაკუთრებით GCS და ფოკალური ნიშნების გამოსავლენად

ლაბორატორიული კვლევები

სისხლის ანალიზი:

- სსა
- გლუკოზა, ელექტროლიტები, BUN, კრეატინინი
- LFTs, ამონია
- კოაგულაცია
- სისხლის კულტურ
- სეროლოგია EBV, HIV-თვის, and *Mycoplasma pneumoniae* (IgM and IgG)
- EBV PCR
- შრატის ნიმუში (საჭიროების შემთხვევაში კვლევების გადმავებისთვის)

შარდის ტესტები

- შარდის კვლევა მედიკამენტებზე
- შარდისანალიზი

თავზურგტვინის სითხის კვლევები (თუ მასობრივი დაზიანება არ არის გამორიცხული, ნეიროვიზუალიზაციის შემდეგ ჩაატარეთ ზურგის ტვინის პუნქცია):

- წნევის შეფასება (თუ შესაძლებელია)
- CSF უჯრედების რაოდენობა/დიფერენცირება
- CSF გლუკოზა და პროტეინი
- CSF გრამის შტამი და ბაქტერიული კულტურა
- CSF PCR ტესტირება*
- თუ შესაძლებელია შეინახეთ ნიმუში (კვლევების გადრმავებისთვის)

სხვა ლაბორატორიული კვლევები:

- ტესტირება გრიპზე და სხვა რესპირატორულ ვირუსებზე (მაგ. რესპირატორული პანელი /PCR, ვირუსების კულტურა)
- ყელის ნაცხი HSV-თვის, enterovirus, *M. pneumoniae* PCRs
- განავლის და რექტუმის ნაცხი ენტეროვირუსის გამოსარიცხად და ვირუსული კულტურა
- ტოქსიკური მეტაბოლური ენცეფალოპათიისა და მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დარღვევების ტესტები[†]
- ტესტირება აუტოიმუნური ენცეფალიტის გამოსარიცხად (NMDAR დაVGKC ანტისხეულები), თუ კლინიკურად ნაჩვენებია[†]

- CSF მჟავის ტესტი და *Mycobacterium tuberculosis* კულტურა, თუ კლინიკურად ნაჩვენებია.

დამხმარე კვლევები

ნეიროგამოსახულებითი კვლევა – MRI უპირატესია, მაგრამ ჩაატარეთ CT კვლევა თუ MRI არ არის ხელმისაწვდომი სწრაფად, არაპრაქტიკულია ან შეუძლებელია მისი შესრულება.

EEG – დაუყოვნებლივ როდესაც შესაძლებელია

სავარაუდო დიაგნოზი

ყველა ქვემოთ ჩამოთვლილზე დაყრდნობით:

- შეცვლილი ფსიქიკური მდგომარეობა, ფოკალური ნევროლოგიური დეფიციტი და/ან კრუნჩხვები, **პლუს**
- CSF პლეოციტოზი, **პლუს**
- პათოლოგიური ნეიროგამოსახულებითი კვლევა ან EEG, **პლუს**
- სხვა ეტიოლოგიური მიზეზი არ არის იდენტიფიცირებული

მკურნალობა

სტაბილიზაცია

სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა, სუნთქვა, და ცირკულაცია

ენდოტრაქეული ინტუბაცია თუ GCS ≤ 8 ან სასუნთქი გზები კომპრომიტირებულია

სითხის რეანიმაცია ნორმალური ფიზიოლოგიური ხსნარით (20 mL/kg, საწყისი ბოლუსი) თუ სახეზეა ჰიპოვოლემიის ნიშნები ან შოკი

კრუნჩხვების მკურნალობა ლორაზეპამით (0.1 mg/kg IV)

ემპირიული ანტიმიკრობული თერაპია

აციკლოვირი ემპირიულად ^ა (ყველა პაციენტისთვის რომელთანაც ვვარაუდობთ მწვავე ინფექციურ ენცეფალიტს):

- 28 დღიდან 3 თვემდე ასაკში – 20 მგ/კგ IV ყოველ 8 სთში[°]
- 3 თვის და 3 თვიდან 12 წლამდე ასაკში – 10 დან 15 მგ/კგ IV ყოველ 8 სთ-ში[°]
- 12 წლის და 12 წელზე მეტ ასაკში – 10 მგ/კგ IV ყოველ 8 სთ-ში[°]

მიეცით ემპირიულად ანტიბიოტიკები სანამ ბაქტერიული მენინგიტი გამოირიცხება

- ვანკომიცინი 15 მგ/კგ IV ყოველ 6 სთ-ში (მაქსიმუმ 4 g/day)^{°, პლუს}

- **ან** ცეფტრიაქსონი 50 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 12 საათში (მაქსიმუმ 4 გ/დღეში) **ან** ცეფოტაქსიმი (თუ გაქვთ) 100 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 8 საათში (მაქსიმუმ 2 გ/დოზა)

განიხილეთ ემპირიული მკურნალობა სხვა მიზეზების გათვალისწინებით (მაგ. *Mycoplasma pneumoniae*, გრიპი, კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელება, კატის ნაკაწრის დაავადება, Q ცხელება, ერლიხიოზი), კლინიკური მონაცემების, სეზონის, ექსპოზიციის ისტორიისა და სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით⁵.

BUN: სისხლის ურეა ნიტროგენი; **CBC** - სსა: **CMV:** ციტომეგალოვირუსი; **CNS:** ცნს; **CSF:** ცერებროსპინალური სითხე; **CT:** კომპიუტერული ტომოგრაფია; **EBV:** ებშტეინ-ბარის ვირუსი; **EEG:** ელექტროენცეფალოგრაფია; **GCS:** გლაზგოს კომის შკალა; **HHV-6:** ადამიანის ჰერპესვირუს 6; **HIV:** ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი; **HSV:** მარტივი ჰერპეს ვირუსი; **IV:** ინტრავენური; **LFT:** ღვიძლის ფუნქციების ტესტი; **NMDAR:** ანტი-N-მეთილ-D-ასპარტატ რეცეპტორი; **MRI:** მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია; **PCR:** პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია; **VZV:** ვარიცელა ზოსტერის ვირუსი; **VGKC:** ვოტალაჟ- დამოკიდებული კალიუმის არხი; **WNV:** West Nile ვირუსი.

* **PCR** ტესტირება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ვირუსული და ბაქტერიული პათოგენის ერთდროულად მრავლობით ტესტირებას ცერებროსპინალური სითხის ერთ ნიმუშში (მაგ. **FilmArray** მენინგიტის/ენცეფალიტის პანელი [**BioFire**]) ან ინდივიდუალური **PCR** ტესტების მეშვეობით კონკრეტული პათოგენების დასადგენად. **HSV-ზე, ენტეროვირუსსა და პარეოვირუსზე ტესტირება უნდა ჩატარდეს ყველა პაციენტში;** დამატებითი პათოგენების ტესტირება შეიძლება გამართლებული იყოს ანამნეზისა და ეპიდემიოლოგიის საფუძველზე (მაგ. *Mycoplasma pneumoniae*, გრიპი, **CMV**, **EBV**, **HHV-6**, **VZV**, **WNV**).

¶ ტოქსიკური მეტაბოლური ენცეფალოპათიის, მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დარღვევების ან აუტოიმუნური ენცეფალიტის მქონე პაციენტებში დიაგნოსტიკური ტესტირების მიდგომის დეტალებისთვის იხილეთ ცალკეული **UpToDate** - ის თემები.

Δ აციკლოვირით ემპირიული თერაპია უტარდება ყველა პაციენტს, რომლებთანაც არსებობს ეჭვი ენცეფალიტზე, სანამ არ გამოირიცხება **HSV** ინფექცია (გამორიცხება ხდება ცერებროსპინალურ სითხეში უარყოფითი **PCR**-ით). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **HSV**-ის შესახებ **UpToDate**-ის თემები.

◇ ამ ცხრილში ჩამოთვლილი აციკლოვირისა და ვანკომიცინის დოზები განკუთვნილია თირკმლის ნორმალური ფუნქციის მქონე პაციენტებისთვის. თირკმლის ფუნქციის დარღვევის მქონე პაციენტებში საჭიროა დოზის კორექცია. დეტალებისთვის იხილეთ პრეპარატის მონოგრაფიები.

§ **M. pneumoniae**-ს ემპირიული თერაპია, როგორც წესი, მაკროლიდურ ანტიბიოტიკოთერაპიას (მაგ. აზითრომიცინი) გულისხმობს. პაციენტებში გრიპის სამკურნალოდ რამდენიმე საშუალებაა ხელმისაწვდომი (ოსელტამივირი, პერამივირი, ბალოქსავირი და ზანამივირი); დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **UpToDate**-ის თემები პაციენტებში სეზონური გრიპის შესახებ. კატის ნაკაწრის დაავადების, კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელების, Q ცხელების ან ერლიხიოზის ემპირიული თერაპია, როგორც წესი, დოქსიციკლინისგან შედგება (რიფამპინი ემატება კატის ნაკაწრის დაავადების შემთხვევაში). ამ ინფექციების რისკ-ფაქტორებია კატების ან კნუტების ნაკბენები/ნაკაწრები (კატის ნაკაწრის დაავადება), ტკიპების ზემოქმედება ენდემურ რეგიონებში (კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელება და ერლიხიოზი) და ფერმის ცხოველების ზემოქმედება (Q ცხელება). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **UpToDate**-ის ცალკე კონტენტი ამ ინფექციების შესახებ.

შეფასების მიზნებია კლინიკური სინდრომის (მაგ. მწვავე ენცეფალიტი, პოსტინფექციური ენცეფალიტი, აუტოიმუნური ენცეფალიტი, მენინგიტი, ტოქსიკური ან მეტაბოლური ენცეფალოპათია) განსაზღვრა და კონკრეტული ეტიოლოგიის იდენტიფიცირება [7]. კონკრეტული ეტიოლოგიის იდენტიფიცირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მკურნალობის გადაწყვეტილებებზე (**ცხრილი 3 და ცხრილი 4**) და შეიძლება დაგვეხმაროს მდგომარეობის პროგნოსტირებაში,

პოტენციური პროფილაქტიკის საჭიროებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჩარევებისთვის [7].

ძირითადი მიზეზის ადრეული იდენტიფიცირება შეიძლება გადამწყვეტი იყოს პაციენტის მართვისა და პროგნოზისთვის. ქვემოთ მოცემული მიდგომა ზოგადად შეესაბამება ენცეფალიტის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ შემოთავაზებულ დიაგნოსტიკურ ალგორითმს [1].

ცხრილი 3

ინფექციური აგენტები, რომლებთანაც შეუძლიათ გამოიწვიონ ენცეფალიტის კლინიკური სურათი ბავშვებში.

ვირუსები (პათოგენები, რომელთა მკურნალობაც სპეციფიკური ანტივირუსული თერაპიით შეიძლება, მითითებულია *-ით)	ბაქტერიები (ყველა ამ პათოგენის მკურნალობა შესაძლებელია სპეციფიკური ანტიბიოტიკოთერაპიით)
ყველაზე ხშირი გამომწვევები - ენტეროვირუსები (ეკოვირუსი, A და B კოქსსაკის ვირუსები, პოლიოვირუსები და უნომრო ენტეროვირუსები) - პარეკოვირუსები - მარტივი ჰერპესის ვირუსები (ტიპი 1 ან 2)* - ადამიანის ჰერპესვირუს 6* - გრძელ ვირუსი* - ეპშტეინ - ბარის ვირუსი - ციტომეგალოვირუსი* - არბოვირუსები (LaCrosse-ის ვირუსი, West Nile-ის ვირუსი, St. Louis-ის ენცეფალიტის ვირუსი*, აღმოსავლური და დასავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, იაპონური ენცეფალიტის ვირუსი) - ვარიცელა ზოსტერი * სხვა იშვიათი მიზეზები	<i>Mycoplasma pneumoniae</i> <i>Bartonella henselae</i> (კატის ნაკაწრის დაავადება) <i>Rickettsia rickettsii</i> (კლოდვანი მთების დაავადება) <i>Borrelia burgdorferi</i> (ლაიმის დაავადება) <i>Coxiella burnetii</i> (Q ცხელება) <i>Listeria monocytogenes</i> <i>Ehrlichia chaffeensis</i> (ადამიანის მონოციტოტროპული ერლიხიოზი) <i>Anaplasma phagocytophilum</i> (ადამიანის გრანულოციტოტროპული ერლიხიოზი) <i>Mycobacterium tuberculosis</i> <i>Treponema pallidum</i> <i>Bartonella quintana</i> ("თხრილის ცხელება") <i>Tropheryma whipplei</i>
	სოკო (ყველა ამ პათოგენის მკურნალობა შესაძლებელია სპეციფიკური სოკოს საწინააღმდეგო თერაპიით.)

▪ Creutzfeldt-Jakob-ის დაავადება ▪ Hendra ვირუსი ▪ E ჰეპატიტის ვირუსი ▪ B ჰერპეს ვირუსი ▪ HIV* ▪ წითელას ვირუსი ▪ ყბაყურას ვირუსი ▪ Murray Valley-ის ენცეფალიტის ვირუსი ▪ Nipah-ს ვირუსი ▪ პარავირუს B19 ▪ პროვასანის ვირუსი ▪ ცოფის ვირუსი ▪ წითურას ვირუსი ▪ მწვავე რესპირატორული დისტრესის გამომწვევი კორონავირუსი 2 (SARS-CoV-2)* ▪ ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტის ვირუსი	<i>Cryptococcus neoformans</i> <i>Coccidioides species</i> <i>Histoplasma capsulatum</i>
	პარაზიტები (ყველა ამ პათოგენის მკურნალობა შესაძლებელია სპეციფიკური პარაზიტის საწინააღმდეგო თერაპიით.)
	<i>Toxoplasma gondii</i> <i>Plasmodium falciparum</i> <i>Naegleria fowleri</i> <i>Acanthamoeba spp</i> <i>Balamuthia mandrillaris</i> <i>Taenia solium</i> (cysticercosis) <i>Baylisascaris procyonis</i> <i>Gnathostoma spinigerum</i> <i>Trypanosoma brucei gambiense</i>

* ვირუსული პათოგენები, რომელთა მკურნალობა შესაძლებელია სპეციფიკური ანტივირუსული თერაპიით.

ცხრილი 4

მდგომარეობები, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვებში ვირუსული ენცეფალიტის მსგავსი ჩივილების გამოვლენა

მდგომარეობა	პოტენციური მინიშნებები
ბაქტერიული ინფექციები	
ბაქტერიული მენინგიტი	მენინგეალური ნიშნები; CSF პლეოციტოზი პოლიმორფონუკლეარული უჯრედების უპირატესობით

ცნს-ის ტუბერკულოზი	ენდემურ რეგიონებში (აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა, აღმოსავლეთ ევროპა) ცხოვრება, მოგზაურობა ან კონტაქტთან კონტაქტი; ტუბერკულოზით დაავადებულ ზრდასრულ პირთან კონტაქტი; ლაკუნარული ინფარქტი; ჰიდროცეფალია; ცერებროსპინალურ სითხეში გლუკოზის დაბალი დონე და ცილის მომატებული დონე.
პარამენინგეალური ინფექცია	
ლისტერიოზი	<1 თვეზე; იმუნური კომპრომიტირება, რომენცეფალიტი (ატაქსია, კრანიალური ნერვების დეფიციტი, ნისტაგმი)
კატის ნაკაწრის დაავადება	კატის ნაკბენი/ნაკაწრი, რეგიონალური ლიმფადენოპათია, ნეირორეტინიტი.
პარაზიტული ინფექცია	
ამებიაზი	იმუნური სისტემის დასუსტება; ტბებში/მლაშე წყლებში ბანაობა; ენდემურ ზონაში მოგზაურობა; გემოს ან სუნის შეცვლა
ცერებრალური მაღარია	პროფილაქტიკის გარეშე ენდემურ რეგიონში მოგზაურობა
ტოქსოპლაზმოზი	იმუნური სისტემის დარღვევა; ექსტრაპირამიდული სიმპტომები და ნიშნები
ცისტიცერკოზი	ენდემურ ზონაში მოგზაურობა; კრუნჩხვები, ჰიდროცეფალია; თერმულად ცუდად დამუშავებული ღორის ხორცის მიღება
ექინოკოკი (ბრტყელი ჭია)	ჰიდატიდური ცისტა
ტრიქინოზი	კუჭ-ნაწლავის სიმპტომები (მუცლის ტკივილი, გულისრევა, დებინება, დიარეა); დათვის ხორცის ან სხვა პოტენციურად დაბინძურებული საკვების მიღება
სოკოვანი ინფექცია	
ჰისტოპლაზმოზი	ენდემურ ზონაში (აღმოსავლეთ და ცენტრალური აშშ და კანადა) ცხოვრება ან მოგზაურობა
ბლასტომიკოზი	ენდემურ ზონაში ცხოვრება ან მოგზაურობა (აშშ-ში, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცენტრალურ ნაწილში და დიდი ტბების მიმდებარე შტატებში)

კრიპტოკოკი	იმუნური სისტემის დასუსტება; ფრინველის ექსკრემენტების ზემოქმედება
კოკციდიომიკოზი	ენდემურ რეგიონებში ცხოვრება ან მოგზაურობა, როგორცაა სამხრეთ-დასავლეთი შეერთებული შტატები, ჩრდილოეთ მექსიკა და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ნაწილები.
კანდიდიოზი	იმუნურად კომპრომიტირებული პაციენტები
რიკეციალური ინფექცია	
კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელება	ენდემურ რეგიონში ტკიპების ზემოქმედება; მაკულოპაპულური/პეტეჩიური გამონაყარი; უმართავი კრუნჩხვები
თაგვის ტიფი	რწყილების ზემოქმედება
Q ცხელება	კატებთან, ცხვრებთან, თხებთან (განსაკუთრებით პლაცენტის ქსოვილთან, მშობიარობის სითხეებთან, ახალშობილ ცხოველებთან) კონტაქტი
ერლიხიოზი	
	ტკიპების ზემოქმედება, გამონაყარი, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია
ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა მდგომარეობები	
თავის ტრავმა	ტრავმის ანამნეზი (შეიძლება არ იყოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში)
ჰიპერტენზიული ენცეფალოპათია	ჰიპერტენზია; სხვა მიზეზების გამორიცხვა;
ინტრაკრანიალური ჰემორაგია	ნეიროვიზუალიზაცია; ქალასშიდა სისხლდენა შეიძლება იყოს წელის პუნქციის ჩვენება
ინტრაკრანიალური თრომბოზი	ნეიროგამოსახულებითი კვლევები
იდიოპათიური ქალასშიდა ჰიპერტენზია (ცერებრალური ფსევდოსიმსივნე)	მხედველობის დაბინდვა, დიპლოპია, კრანიალური ნერვის დამბლა; მხედველობის ნერვის შეშუპება; წელის პუნქციის დროს წნევის მომატება

ეპილეფსიური სტატუსი (განსაკუთრებით არაკონვულსიური კრუნჩხვები)	ელექტროენცეფალოგრამა
სისტემური წითელი მგლურა	ართრიტი, ნეფრიტი, დერმატიტი, ლეიკოპენია.
პოლიარტერიიტი ნოდოსა	ცხელება, წონის დაკლება, დერმატიტი, ეოზინოფილია
მწვავე დისემინირებული ენცეფალომიელიტი (ADEM, პოსტინფექციური ენცეფალიტი)	ბოლოდროინდელი ინფექციის ან იმუნიზაციის ისტორია; მულტიფოკალური ნევროლოგიური ნიშნები და სიმპტომები; ნეიროვიზუალიზაცია
სიმსივნე	ნეიროვიზუალიზაცია; ზურგის ტვინის პუნქციის დროს წნევის მომატება (თუმცა, ზურგის ტვინის პუნქცია, როგორც წესი, არ ტარდება სიმსივნეზე ექვის შემთხვევაში)
მწვავე კონფუზიური შაკიკი	შაკიკის თავის ტკივილის ისტორია; სხვა მიზეზების გამორიცხვა
ანტი-N-მეთილ-D- ასპარტატის რესეპტორის ენცეფალიტი*	ინფექციური ეტიოლოგიის იდენტიფიცირება შეუძლებელია; ენცეფალიტი ფსიქიატრიული გამოვლინებებით
მეტაბოლური დარღვევები	
ჰიპოგლიკემია	შრატის გლუკოზა
ურემიული ენცეფალოპათია	სისხლში შარდოვანას აზოტის, კრეატინინის მომატება
დვიძლისმიერი ენცეფალოპათია	შრატის ბილირუბინის და ამინოტრანსფერაზების დონის მომატება; ზურგის ტვინის პუნქციის დროს წნევის მომატება

ტოქსინები	
მწვავე ტოქსიკური ნივთიერებების მიღება	ტოქსიკოლოგიური სკრინინგი; გუგების ცვლილებები
ტყვიით მოწამვლა	ტყვიის ზემოქმედების ან პიკას ისტორია; სისხლში ტყვიის მომატებული დონე (დადასტურებული)
რეის სინდრომი	ასპირინის გამოყენების ისტორია; ბოლოდროინდელი ვირუსული ინფექცია. ზურგის ტვინის პუნქციის დროს წნევის მომატება
თანდაყოლილი მეტაბოლიზმის დარღვევები (მაგ. ორგანული აციდემია, შარდოვანას ციკლის დარღვევა, მიტოქონდრიული დარღვევები, მიტოქონდრიული ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვის დარღვევები და ა.შ.)	
	ლაბორატორიული მონაცემების ცვლილებები (მაგ.ჰიპოგლიკემია, ჰიპერამონემია, აციდოზი)

CNS:ცნს; **CSF:** ცერებროსპინალური სითხე.

* ასოცირდება გარკვეულ სიმსივნეებთან (მაგ. საკვერცხის ტერატომა).

ტვინის შეცვლილი ფუნქციის მქონე ბავშვის შეფასების საწყისი ეტაპი იწყება სასუნთქი გზების, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის შეფასებით. უპირველესი პრიორიტეტებია კარდიორესპირატორული სტატუსის სტაბილიზაცია და კრუნჩხვების მართვა.

ბავშვის სტაბილიზაციის შემდეგ, ტარდება საფუძვლიანი ანამნეზის შეგროვება, ფიზიკური გამოკვლევა, საწყისი ლაბორატორიული ტესტები, ზურგის ტვინის პუნქცია (LP) და ნეიროვიზუალიზაცია [7]. ელექტროენცეფალოგრაფია (EEG) უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება მალე. თუ დრო იძლევა ამის საშუალებას, ცენტრალური ნერვული სისტემის (CNS) კლინიკურად სავარაუდო ფოკალური დაზიანების შემთხვევებში, ნეიროვიზუალიზაცია უნდა ჩატარდეს LP-მდე. ეპიდემიოლოგიური და ისტორიული მინიშნებები (**ცხრილი 5 და ცხრილი 6**), ფიზიკური გამოკვლევის შედეგები (**ცხრილი 7**) და საწყისი ლაბორატორიული და ვიზუალიზაციის ტესტების მონაცემები შეიძლება დაეხმაროს დამატებითი შეფასების და/ან თერაპიის წარმართვას.

ცხრილი 5.

ანამნეზური მინიშნებები

ეპიდემიოლოგიური მინიშნებები		პოტენციური ეტიოლოგიური აგენტი
ასაკი (0-დან 28 დღე)		ინფექცია– CMV, HSV (ტიპი 1 ან 2), ენტეროვირუსები პარეჩოვირუსები, წითურას ვირუსი. არაინფექციური – თანდაყოლილი მეტაბოლური დარღვევები. (მაგ. ორგანული აციდემია, ურეას ციკლის დაავადებები)
სეზონი:		
ზაფხული		ენტეროვირუსი, თავისუფლად-მცხოვრები ამეზა
გვიანი ზაფხული/შემოდგომა		არბოვირუსი
ზამთარი		პოსტინფექციური ენცეფალიტი იმ ქვეყნებში, სადაც MMR იმუნიზაციის დაბალი მაჩვენებელია.
ინფექცია ცხენებში, ფრინველებში		არბოვირუსი, ჰენდრას ვირუსი
სისხლის გადასხმის ან ტრანსპლანტაციის მიმღები		ციტომეგალოვირუსი, ებშტეინ-ბარის ვირუსი, აივ ინფექცია, ცოფი, ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტი.
იმუნოდეფიციტი		ციტომეგალოვირუსი, HHV-6, HSV, VZV, WNV, ენტეროვირუსი (განსაკუთრებით X-შეკავშირებული აგამაგლობულინემიის და საერთო ცვლადი იმუნოდეფიციტის დროს)
ანამნეზური მონაცემები		
გამონაყარი		
ვეზიკულური		HSV, VZV, ენტეროვირუსი (ხელის, ფეხის და პირის დაავადება), B ტიპის ჰერპესის ვირუსი
ხელი, ფეხი, პირი.		ენტეროვირუსი
ერთემატოზული მაკულები და პაპულები ცეფალოკაუდის გავრცელებით		წითელა
მაკულოპაპულარული		WNV
მაკულოპაპულური/პეტეჩიური იწყება კოჭებსა და მაჯებზე		კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელება

გავლენა	
კოლოები	არბოვირუსი
ტკიპა	<i>Borrelia burgdorferi</i> , პოვასანის ვირუსი, <i>Rickettsia rickettsii</i> , ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტი
ცხოველის ნაკბენი/ზემოქმედება (მაღლი, ღამურა, კატა, ფრინველები, პირუტყვი და სხვა)	ცოფი, არბოვირუსები, კატის ნაკაწრის დაავადება, Q ცხელება
სისხლის გადასხმის ან ტრანსპლანტაციის მიმდები	ციტომეგალოვირუსი, ებშტეინ-ბარის ვირუსი, აივ ინფექცია, ცოფი, ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტი, დასავლეთ ნევრალგიური ვირუსი
ბოლოდროინდელი ინფექციური დაავადება	ADEM
რეკრეაციული აქტივობა	
ცურვა	ენტეროვირუსები, თავისუფლად მცხოვრები ამებები
მღვიმეებში ყოფნა	ცოფი
სექსუალური აქტივობა	HIV, <i>Treponema pallidum</i>
მოგზაურობა	
იმუნიზაცია	
კონკრეტული აგენტის მიმართ იმუნიზაციის ნაკლებობა	იაპონური ენცეფალიტი, MMR, VZV, პოლიო, ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტი
ბოლოდროინდელი იმუნიზაცია	ADEM

CMV: ციტომეგალოვირუსი; **HSV:** ჰერპეს სიმპლექს ვირუსი; **MMR:** წითელა, ყბაყურა, რითურა; **EBV:** ებშტეინ ბარის ვირუსი; **WNV:** West Nile ვირუსი; **HHV-6:** ადამიანის ჰერპესვირუსი 6; **VZV:** ვარიცელა ზოსტერის ვირუსი; **ADEM:** მწვავე დისემინირებული ენცეფალოპათია.

ცხრილი 6.

მოგზაურობის ისტორია და ვირუსული ენცეფალიტის შესაძლო ეტიოლოგიური აგენტი(ები)

მოგზაურობა	შესაძლო ინფექციური აგენტი(ები)
აფრიკა	ცოფის ვირუსი, West Nile-ის ვირუსი, <i>Plasmodium falciparum</i> , დენგეს ვირუსი, <i>Trypanosoma brucei gambiense</i> , <i>Trypanosoma brucei rhodesiense</i>
ავსტრალია	მიურეი ველის ენცეფალიტის ვირუსი, იაპონური ენცეფალიტის ვირუსი, ჰენდრას ვირუსი
ცენტრალური ამერიკა	ცოფის ვირუსი, აღმოსავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, დასავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, ვენესუელური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, St. Louis-ის ენცეფალიტის ვირუსი, დენგეს ვირუსი, <i>Rickettsia rickettsii</i> , <i>P. falciparum</i> , <i>Taenia solium</i>
ევროპა	West Nile ვირუსი, ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტის ვირუსი, <i>Borrelia burgdorferi</i> , <i>Anaplasma phagocytophilum</i>
ინდოეთი, ნეპალი	ცოფის ვირუსი, იაპონური ენცეფალიტის ვირუსი, <i>P. falciparum</i> , დენგეს ვირუსი
შუა აღმოსავლეთი	West Nile ვირუსი, <i>P. falciparum</i>
რუსეთი	ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტის ვირუსი
სამხრეთ ამერიკა	ცოფის ვირუსი, აღმოსავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, დასავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, ვენესუელური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, St. Louis-ის ენცეფალიტის ვირუსი, დენგეს ვირუსი, <i>R. rickettsii</i> , <i>Bartonella bacilliformis</i> (Andes mountain), <i>P. falciparum</i> , <i>T. solium</i>
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ჩინეთი, წყნარი ოკეანის რეგიონი	იაპონური ენცეფალიტის ვირუსი, ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტის ვირუსი, Nipah-ის ვირუსი, <i>P. falciparum</i> , <i>Gnathostoma species</i> , <i>T. solium</i> , დენგეს ვირუსი.

ცხრილი 7.

კლინიკური მონაცემები, რომლებიც ენცეფალიტის მქონე ბავშვებში შეიძლება მიუთითებდეს კონკრეტულ ეტიოლოგიურ აგენტ(ებ)ზე.

კლინიკური პრეზენტაცია	სავარაუდო ინფექციური აგენტი(ები)
ზოგადი მახასიათებლები	
ჰეპატიტი	HSV (განსაკუთრებით ჩვილებში), ენტეროვირუსი (განსაკუთრებით ჩვილებში), <i>Coxiella burnetii</i> ; ნებისმიერი მძიმე ენცეფალიტი, რომელიც იწვევს სისტემური პერფუზიის დარღვევას, შეიძლება გამოიწვიოს ჰეპატიტი შოკური ღვიძლის გამო.
ლიმფადენოპათია	აივ, ებშტეინ-ბარის ვირუსი, ციტომეგალოვირუსი, წითელას ვირუსი, წითურას ვირუსი, დასავლეთ აფრიკის ვირუსი, მკრთალი ტეპონემა, <i>Bartonella henselae</i> და <i>Bartonella</i> -ს სხვა სახეობები, <i>Mycobacterium tuberculosis</i> , <i>Toxoplasma gondii</i> , <i>Trypanosoma brucei gambiense</i>
პაროტიტი	ყბაყურას გამომწვევი ვირუსი
გამონაყარი	HSV, VZV, B ტიპის ჰერპეს ვირუსი, ადამიანის ჰერპესვირუსი 6, WNV, წითურას ვირუსი, ზოგიერთი ენტეროვირუსი, აივ, <i>Rickettsia rickettsii</i> , <i>Mycoplasma pneumoniae</i> , <i>Borrelia burgdorferi</i> , <i>Treponema pallidum</i> , <i>Ehrlichia chaffeensis</i> , <i>Anaplasma phagocytophilum</i>
სასუნთქი გზების გამოვლინებები	გრიპის ვირუსი, ადენოვირუსი, <i>M. pneumoniae</i> , ვენესუელური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, ნიფა ვირუსი, ჰენდრა ვირუსი, <i>C. burnetii</i> , <i>M. tuberculosis</i> , <i>Histoplasma capsulatum</i>
რეტინიტი	ციტომეგალოვირუსი, <i>T. gondii</i> , WNV, <i>B. henselae</i> , <i>T. pallidum</i>
შარდვა (დიზურია, ურგენტული შარდვა, შეუკავებლობა)	სენტ-ლუისის ენცეფალიტის ვირუსი (პროდრომის დროს)
ნევროლოგიური გამოხატულებები	
ცერებრალური ატაქსია	ენტეროვირუსები (განსაკუთრებით A71), VZV, EBV, ყბაყურას ვირუსი, სენტ-ლუისის ენცეფალიტის ვირუსი, <i>Tropheryma whipplei</i> , <i>T. brucei gambiense</i>
კრანიალური ნერვების პათოლოგიები	ჰერპესვირუსული ვირუსი (HSV), ენტეროვირუსები, EBV, <i>Listeria monocytogenes</i> , <i>M. tuberculosis</i> , <i>T. pallidum</i> , <i>B. burgdorferi</i> , <i>T. whipplei</i> , <i>Cryptococcus neoformans</i> , <i>Coccidioides</i> სახეობები, <i>H. capsulatum</i>

დემენცია	აივ, ადამიანის გადამდები სპონგიოფორმული ენცეფალოპათიები (sCJD და vCJD), წითელა, <i>T. pallidum</i> , <i>T. whipplei</i>
მიორითმია	<i>T. whipplei</i> (ოკულომასტიკატორი)
პარკინსონიზმი (ბრადიკინეზია, შენიღბული სახის ფორმა, კბილანისებური რიგიდობა, პოსტურალური არასტაბილურობა)	იაპონური ენცეფალიტის ვირუსი, სენტ-ლუისის ენცეფალიტის ვირუსი, დასავლეთ ნევრალგია, ნიპას ვირუსი, <i>T. gondii</i> , <i>T. brucei gambiense</i>
პოლიომიელიტის მსგავსი დუნე დამბლა	იაპონური ენცეფალიტის ვირუსი, დასავლეთ ნევრალგია, ტკიპებით გამოწვეული ენცეფალიტის ვირუსი, ენტეროვირუსები (ენტეროვირუსი 71, კოქსსაკის ვირუსები, პოლიოვირუსი)
რომბოენცეფალიტი	ენტეროვირუსი 71, HSV, WNV, <i>L. monocytogenes</i>

HSV: მარტივი ჰერპეს ვირუსი; **EBV:** ებშტეინ ბარის ვირუსი; **WNV:** West Nile ვირუსი; **VZV:** ვარიცელა ზოსტერის ვირუსი; **sCJD:** სპორადული **Creutzfeldt-Jakob** დაავადება; **vCJD:** ვარიანტული **Creutzfeldt-Jakob** დაავადება.

ანამნეზი — ანამნეზის სრულფასოვანი შეკრებით შეიძლება გამოვლინდეს მინიშნებები, რომელიც კონკრეტული ვირუსული ეტიოლოგიის შესახებ მეტყველებს, როგორც ეს შეჯამებულია ცხრილებში (**ცხრილი 5 და ცხრილი 6**). ენცეფალიტზე საექვო პაციენტების შეფასებისას მნიშვნელოვანია დაისვას კონკრეტული კითხვები მოგზაურობასთან და სხვადასხვა აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებით (მაგ. ცხოველები, მწერები, წყალი, ტოქსინები და ა.შ.), განსაკუთრებით სიმპტომების დაწყებამდე ორი-სამი კვირის განმავლობაში. ასევე უნდა გადაიხედოს იმუნიზაცია და იმუნური სტატუსი [4,7].

ფიზიკური გამოკვლევა

- **ნევროლოგიური გამოკვლევა** – უნდა ჩატარდეს სრულყოფილი ნევროლოგიური გამოკვლევა:
- ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა
- მამოძრავებელი, სენსორული, კრანიალური ნერვების შეფასება, ნათხემის და რეფლექსური ფუნქციის შეფასება
- ფუნდოსკოპიური გამოკვლევა

• გლაზგოს კომის შკალის შეფასება (**ცხრილი 8**), რომელიც განსაზღვრავს ცნობიერების დონეს და შეიძლება გამოყენებულ იქნას ნევროლოგიური პროგრესირების მონიტორინგისთვის, თუმცა კონკრეტულად არ არის დადასტურებული ენცეფალიტის მქონე პაციენტებში.

ცხრილი 8.

გლაზგოს კომის შკალა და პედიატრიული გლაზგოს კომის შკალა

ნიშანი	გლაზგოს კომის შკალა ^[1]	პედიატრიული გლაზგოს კომის შკალა ^[2]	ქულა
თვალების გახელა	სპონტანური	სპონტანური	4
	ბრძანებაზე	ჩაძახილზე	3
	ტკივილზე	ტკივილზე	2
	არ რეაგირებს	არ რეაგირებს	1
ვერბალური პასუხი	ორიენტირებული	ასაკის შესაბამისი ვოკალიზაცია, ღიმილი ან ბგერაზე ორიენტაცია; ურთიერთქმედება (ღულუნა, ჩურჩული); ობიექტების მიყოლა.	5
	დაბნეული, დეზორიენტირებული	ტირილი, გაღიზიანება;	4
	შეუსაბამო სიტყვები	ტირილი ტკივილის საპასუხოდ	3
	გაუგებარი ხმები	კვნესის ტკივილის საპასუხოდ	2
	არ რეაგირებს	არ რეაგირებს	1
მოტორული პასუხი	ემორჩილება ბრძანებებს	სპონტანური მოძრაობები (ემორჩილება ვერბალურ ბრძანებას)	6
	ახდენს ტკივილის ლოკალიზაციას	შეხებისას უკან იხევს (ტკივილის ლოკალიზება)	5

	იშორებს ტკივილს	იშორებს ტკივილს	4
	პათოლოგიური ფლექსია ტკივილის საპასუხოდ	ტკივილის დროს პათოლოგიური მოხრა (დეკორტიკაციული პოზა)	3
	პათოლოგიური ექსტენზია ტკივილის საპასუხოდ	ტკივილის პათოლოგიური გახანგრძლივება (დეცერებრაციული პოზა)	2
	არ რეაგირებს	არ რეაგირებს	1
მაქსიმალური ქულა			15

გლაზგოს კომის შკალა (GCS) ფასდება 3-დან 15-მდე, სადაც 3 ყველაზე მინიმალურია, ხოლო 15 მაქსიმალური, საუკეთესო შედეგია.

ის შედგება 3 კომპონენტისაგან: თვალის რეაქცია (E), ვერბალური რეაქცია (V) და მოტორული რეაქცია (M).

GCS-ის კომპონენტები ინდივიდუალურად უნდა ჩაიწეროს; მაგალითად, E2V3M4 GCS-ის შედეგია 9.

ტრადიციულად, GCS ტრავმული ტვინის დაზიანების (TBI) სიმძიმეს შემდეგნაირად განსაზღვრავს:

≤8: ტვინის მძიმე დაზიანება,

9-დან 12-მდე: საშუალო სიმძიმის დაზიანება და

≥13 ან მეტი ქულა: მსუბუქი დაზიანება.

თუმცა, TBI-ის მქონე პაციენტების მნიშვნელოვან უმცირესობას და GCS-ის 13 ქულას აქვს პოტენციურად სიცოცხლისთვის საშიში ქალასშიდა დაზიანებები.

კომის შკალა (PGCS) დადასტურდა 2 წლის ან უმცროსი ასაკის ბავშვებში.

• **კანის გამოკვლევა** – დერმატოლოგიური მონაცემები შეიძლება მიუთითებდეს კონკრეტულ ეტიოლოგიაზე (**ცხრილი 7**).

მაგალითად:

• ვეზიკულური გამონაყარი ახალშობილებში, რომლებსაც აქვთ ცნს-ის ჰერპეს სიმპლექსის ვირუსი (HSV) (**სურათი 1A-C**).


(**სურათი 1A-C**).



ახალშობილის თავის კანის დაზიანება, რომელსაც აღენიშნებოდათ კანის, თვალის და პირის დრუს ახალშობილთა ჰერპესული ვირუსული ინფექცია, რომელიც დაკავშირებული იყო ნაყოფის თავის კანთან. გრამის წესით შეღებილი ნაცხი და ბაქტერიული კულტურები უარყოფითი იყო და დაზიანებები არ რეაგირებდა ადგილობრივ და სისტემურ ანტიბიოტიკებზე. ვირუსულ კულტურებში გაიზარდა მე-2 ტიპის ჰერპესული ვირუსი და დაზიანებებმა მოახდინა რეაგირება ინტრავენურ აციკლოვირზე.

- მაკულოპაკულური გამონაყარი დასავლეთ ნილოსის ვირუსული დაავადების დროს (სურათი 2).

(სურათი 2)



ოთხ პაციენტს აღენიშნება დასავლეთ ნილოსის ვირუსის ცხელება და ერითემატოზული, მაკულოპაპულური გამონაყარი ზურგზე (ზედა მარცხენა მხარე), გვერდზე (ზედა მარჯვენა მხარე), ბარძაყის უკანა მხარეს (ქვედა მარცხენა მხარე) და ზურგზე (ქვედა მარჯვენა მხარე)

• ხელის, ფეხის და პირის ღრუს დაავადების დამახასიათებელი დაზიანებები (ენტეროვირუსები, განსაკუთრებით EV-A71, CVA16 და CVA6) (სურათი 3A-D).

(სურათი 3A-D).



(ა) პირის ღრუს დაზიანება: ყურადღება მიაქციეთ ერითემის ოვალურ ფორმას და კიდეს.

(ბ) ხელისგულზე შეინიშნება ოვალური, დაუზიანებელი ვეზიკულები.

• კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელების გამონაყარი (სურათი 4), რომელიც, როგორც წესი, არ ვლინდება ცხელების დაწყებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში.

(სურათი 4)



კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელების მქონე ბავშვს აქვს დამახასიათებელი გამონაყარი, რომელიც, როგორც წესი, ცხელების დაწყებიდან რამდენიმე დღემდე არ ჩნდება.

ლაბორატორიული შეფასება — ლაბორატორიული კვლევები ტარდება ენცეფალიტის კლინიკური დიაგნოზის დასადასტურებლად და ეტიოლოგიის დასადგენად (**ცხრილი 3**), დიფერენციალური დიაგნოზის დროს სხვა მდგომარეობების შესაფასებლად (**ცხრილი 4**) და პოტენციური გართულებების აღმოსაჩენად (მაგ. ანტიდიურეზული ჰორმონის არასათანადო სეკრეციის სინდრომი [SIADH]).

სისხლის რუტინული ანალიზები — ლაბორატორიული ტესტები, რომლებიც რუტინულად უნდა ჩატარდეს ენცეფალიტის საექვო ყველა პაციენტში, მოიცავს (**ცხრილი 9**):

- სისხლის სრული ანალიზი დიფერენციალური დათვლით და თრომბოციტების შეფასებით.
- შრატის ელექტროლიტები, გლუკოზა, სისხლის ურეა ნიტროგენი და კრეატინინი
- ღვიძლის ფუნქციური ტესტები (ალანინ ამინოტრანსფერაზა, ასპარტატ ამინოტრანსფერაზა, საერთო და პირდაპირი ბილირუბინი)
- კოაგულაციური კვლევები

ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ეტიოლოგიაზე, მოიცავს შემდეგს [7]:

- ნეიტროპენია – კოლორადოს ტკიპის ცხელება, ერლიხიოზი, ახალშობილთა ჰერპესული ვირუსული ინფექცია (HSV), წითელა, რიკეტსიები, წითურა
- თრომბოციტოპენია – ერლიხიოზი, რიკეტსიები, ახალშობილთა ჰერპესული ვირუსული ინფექცია [8]
- ეოზინოფილია – ტოქსოკარა, ტრიქინელა და სხვა პარაზიტები
- ჰიპონატრიემია/SIADH – რიკეტსიები, აღმოსავლური ცხენის ენცეფალიტის ვირუსი, სენტ-ლუისის ენცეფალიტის ვირუსი, HSV, Mycobacterium tuberculosis.

ცერებროსპინალური სითხის ანალიზი — ლუმბალური პუნქცია უნდა ჩატარდეს ყველა პაციენტში, ვისაც აქვს ენცეფალიტის საეჭვო შემთხვევა, თუ არ არსებობს უკუჩვენებები (მაგ. კოაგულოპათია, საეჭვო ან ცნობილი მასური დაზიანება) [5]. თუ არსებობს მოსალოდნელი თიაქრის ნიშნები (ასიმეტრიული გუგები, ძლიერი მხედველობის დაბინდვა, დეკორტიკაციული ან დეცერებრაციული პოზა, ჩეინ-სტოქსის სუნთქვა), ლუმბალურ პუნქციამდე საჭიროა ნეიროვიზუალიზაცია უკუჩვენებების (მასობრივი დაზიანება, შუა ხაზის ცდომა) გამოსარიცხად.

თავზურგტვინის სითხის (CSF) ნიმუშები უნდა გაიგზავნოს უჯრედების დათვლისა და დიფერენციალური ანალიზისთვის, გლუკოზის, ცილის, გრამის წესით შეღებვის, ბაქტერიული კულტურის, HSV პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR), პარეპოვირუსის PCR და ენტეროვირუსის PCR-ისთვის; დამატებითი ტესტები უნდა ჩატარდეს ეპიდემიოლოგიისა და კლინიკური მონაცემების მიხედვით [6,7].

ცხრილი 9.

ენცეფალიტის საეჭვო შემთხვევების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის რეკომენდებული საწყისი ლაბორატორიული შეფასება.

იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში
სისხლის კვლევა
▪ სსა დიფერენცირებით, მათ შორის თრომბოციტების განსაზღვრით. ▪ შრატის ელექტროლიტები, გლუკოზა, სისხლის ურეა ნიტროგენი, კრეატინინი. ▪ ღვიძლის ფუნქციები და ამონიუმის დონე. ▪ კოაგულაციის კვლევა. ▪ სისხლის კულტურა. ▪ სეროლოგია EBV, HIV-თვის, და <i>Mycoplasma pneumoniae</i> (IgM და IgG).

- EBV PCR
- Anti-NMDAR and anti-VGKC ანტისხეულები, თუ კლინიკურად ნაჩვენებია.
- მწვავე შრატის ნიმუში (საჭიროების შემთხვევაში შემდგომი სეროლოგიური ტესტირებისთვის შესანახად)

CSF ტესტი

- ზურგისტვინის სითხის წნევის გასინჯვა (თუ შესაძლებელია).
- CSF უჯრედების რაოდენობა და დიფერენცირება.
- CSF პროტეინი და გლუკოზა.
- CSF გრამის წესით შეღებვა და კულტურა.
- პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია მულტიპლექსური ტესტირებით ან ინდივიდუალური პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციების ტესტებით – ყველა პაციენტს უნდა ჩაუტარდეს HSV-ზე, ენტეროვირუსსა და პარეჩოვირუსზე ტესტირება; ანამნეზისა და ეპიდემიოლოგიის საფუძველზე შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი პათოგენების ტესტირება (მაგ. CMV, EBV, HHV-6, გრიპი, VZV, WNV).
- მჟავაგამძლე შეღებვა და Mycobacterium tuberculosis-ის კულტურა, კლინიკური ჩვენების შემთხვევაში.
- CSF ნიმუში (შესანახად შემდგომი ტესტირებისთვის).

რესპირატორული ნიმუშები

- რესპირატორული პანელი/პჯრ (გრიპი, ადენოვირუსი, ადამიანის მეტაპნევმოვირუსი და რესპირატორული სინციტიური ვირუსი).
- სასუნთქი გზების სეკრეტისა და ცხვირ-ხახის ვირუსული კულტურა.
- ყელის ნაცხის აღება ჰერპესვირუსზე, ენტეროვირუსზე, M. pneumoniae-ზე, PCR-ებზე.

განავალი (ან სწორი ნაწლავის ნაცხი)

- PCR ენტეროვირუსებზე
- განავლის ვირუსული კულტურა

შარდი

- შარდის ანალიზი
- შარდის ტოქსიკოლოგიური სკრინინგი

თუ წარმოდგენილია კანის დაზიანება

- ბიოფსია DFA-სთვის და PCR *Rickettsia rickettsii*-სთვის.
- კანის დაზიანებების კულტურა და/ან DFA HSV, VZV და ენტეროვირუსებზე.

იმუნოკომპრომეტირებული პაციენტებისთვის

ზემოთ ჩამოთვლილი ტესტები, დამატებით:

სისხლი – შრატის *cryptococc*-ის ანტიგენი, *Toxoplasma gondii* IgG

CSF – Cryptococcal antigen, *Histoplasma* antigen; PCR for CMV, Creutzfeldt-Jakob disease, HHV-6, WNV

შარდი – *Histoplasma* antigen

EBV: ებშტეინ ბარის ვირუსი; **IgM:** იმუნოგლობულინი M; **IgG:** იმუნოგლობულინი G; **PCR:** პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია; **NMDAR:** N-მეთილ-D-ასპარტატ რეცეპტორი; **VGKC:** ვოლტაჟ დამოკიდებული კალიუმის არხი; **CSF:** ცერებროსპინალური სითხე; **HSV:** მარტივი ჰერპეს ვირუსი; **CMV:** ციტომეგალოვირუსი; **HHV-6:** ადამიანის ჰერპესვირუსი 6; **VZV:** ვარიცელა ზოსტერის ვირუსი; **WNV:** West Nile ვირუსი; **DFA:** პირდაპირი ფლუორესცენტული ანტისხეული.

ვირუსული ენცეფალიტის დროს ცერებროსპინალური სითხის მაჩვენებლები ვირუსული მენინგიტისა და მენინგოენცეფალიტის მსგავსია; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ცერებროსპინალური სითხის მაჩვენებლები შეიძლება ემთხვეოდეს ბაქტერიული მენინგიტის მაჩვენებლებს (ცხრილი 10).

ცხრილი 10

ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციების დროს ცერებროსპინალური სითხის ტიპური ნიშნები*

გლუკოზა (მგ/დლ)		პროტეინი (მგ/დლ)		ტოტალური თეთრი უჯრედების დონე (უჯრედი/ლიკრო/L)		
<10 ¹	10 - დან 40 ¹	100 - დან 500 ²	50 - დან 300 ³	>1000	100 - დან 1000	5 to 100

უფრო ხშირად	ბაქტერიული მენინგიტი	ბაქტერიული მენინგიტი	ბაქტერიული მენინგიტი	ვირუსული მენინგიტი. ნერვული სისტემის ლაიმის დაავადება. (ნეირობორელ იოზი). ნეიროსიფილ ისი ტუბერკულო ზური მენინგიტი ^ყ	ბაქტერიული მენინგიტი	ბაქტერიული ან ვირუსული მენინგიტი. ტუბერკულოზ ური მენინგიტი	ადრეული ბაქტერიული მენინგიტი, ვირუსული მენინგიტი, ნეიროსიფილისი, ტუბერკულოზური მენინგიტი
ნაკლებად ხშირი	TB მენინგიტი სოკოვანი მენინგიტი	ნეიროსიფილ ისი ზოგიერთი ვირუსული ინფექცია (მაგ. ყბაყურა და LCMV)		ადრეული ბაქტერიული მენინგიტი	ზოგიერთი ვირუსი, მაგ. ყბაყურა და LCMV	ენცეფალიტი	ენცეფალიტი

TB: ტუბერკულოზი; **LCMV:** ლიმფოციტური ქორიომენინგიტის ვირუსი.

* მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაქტერიული მენინგიტის დროს ცერებროსპინალური სითხის მაჩვენებლების სპექტრი იმდენად ფართოა, რომ ამ ნიშნებიდან ერთის ან მეტის არარსებობას მცირე ღირებულება აქვს. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ბაქტერიული მენინგიტის შესახებ UpToDate-ის თემატური მიმოხილვები.

¶ $<0.6 \text{ mmol/L}$.

Δ $0.6 \text{ to } 2.2 \text{ mmol/L}$.

◇ $1 \text{ to } 5 \text{ g/L}$.

§ $0.5 \text{ to } 3 \text{ g/L}$.

¥ ტუბერკულოზური მენინგიტის მქონე ზოგიერთ პაციენტში ცერებროსპინალურ სითხეში ცილის კონცენტრაცია შეიძლება უფრო მაღალი იყოს; **500 მგ/დლ-ზე** მეტი კონცენტრაცია ჰემატოენცეფალური ბარიერის დარღვევის ან იმუნოგლობულინების ინტრაცერებრული წარმოების

მომატების მაჩვენებელია, ხოლო სუბარაქნოიდულ ბლოკადასთან ასოცირდება უკიდურესად მაღალი კონცენტრაციები, 2-დან 6 გ/დლ-მდე.

დამახასიათებელი ნიშნებია:

- **ცერებროსპინალური სითხის პლეოციტოზი** – ცერებროსპინალური სითხის პლეოციტოზი აღინიშნება ენცეფალიტის მქონე ბავშვების 60-80 პროცენტში [3,9-11]. ცერებროსპინალურ სითხეში ლეიკოციტების (WBC) რაოდენობა, როგორც წესი, მერყეობს 0-დან 500 უჯრედამდე/მიკროლიტრში, ლიმფოციტური უპირატესობით; თუმცა, ნეიტროფილების უპირატესობა შეიძლება შეინიშნოს ინფექციის დაწყებიდან პირველი 24-48 საათის განმავლობაში. პლეოციტოზის არარსებობა არ გამორიცხავს ენცეფალიტს და ცერებროსპინალურ სითხეში ლეიკოციტების ნორმალური რაოდენობა შეიძლება შეინიშნოს დაავადების ადრეულ სტადიაზე და ენცეფალიტის მქონე ჩვილებში, განსაკუთრებით პარეჩოვირუსული და ენტეროვირუსული ინფექციების დროს [12,13]. გარდა ამისა, იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებში შეიძლება არ განვითარდეს ცერებროსპინალური სითხის პლეოციტოზი [14,15].
- **სისხლის წითელი უჯრედები** – სისხლის წითელი უჯრედები, როგორც წესი, არ აღინიშნება (გარდა ტრავმული პუნქციისა). არატრავმული ჩხვლეტის დროს ერითროციტების არსებობა უფრო მეტად დაავადების პროცესზე (ჰემორაგიული ან ნეკროზული ენცეფალიტი) მიუთითებს, ვიდრე კონკრეტულ ეტიოლოგიაზე. ინფექციური ეტიოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს ჰემორაგიული ან ნეკროზული ენცეფალიტით, მოიცავს ჰერპეს სიმპლექსის ვირუსს, ლა კროსის ვირუსს, აღმოსავლურ ცხენის ენცეფალიტს და ამებურ ენცეფალიტს; თუმცა, ამ ენცეფალიტების გამოვლინებაში მნიშვნელოვანი ვარიაციებია [16,17].
- **ცილა** – ცერებროსპინალურ სითხეში ცილა შეიძლება იყოს ნორმალური ან ზომიერად მომატებული (ზოგადად <150 მგ/დლ).
- **გლუკოზა** – გლუკოზა, როგორც წესი, ნორმალურია (ანუ 50 პროცენტით მეტი სისხლში არსებულ გლუკოზაზე). გლუკოზის ზომიერი შემცირება შეიძლება შეინიშნოს ჰერპეს სიმპლექსის და ყბაყურას დროს; გამოხატული ჰიპოგლიკორაქია (ანუ, ცერებროსპინალურ სითხეში გლუკოზა <10 მგ/დლ) შეიძლება შეინიშნოს ბაქტერიული მენინგიტის დროს, მათ შორის ტუბერკულოზური (TB), მაგრამ იშვიათად აღინიშნება ცნს-ის ვირუსული ინფექციების დროს. შემთხვევათა დაახლოებით 10-15 პროცენტში, თავდაპირველი ცერებროსპინალური სითხის მონაცემები ნორმალურია [3,9,11,18]. ენცეფალიტის 1500-ზე მეტი შემთხვევის კვლევაში, ცერებროსპინალურ სითხეში ლეიკოციტების რაოდენობისა და ცილის დონის ფართო დიაპაზონი იყო [11]. ინფექციური ენცეფალიტის მქონე პაციენტებს ცერებროსპინალურ სითხეში ლეიკოციტების უფრო მაღალი რაოდენობა ჰქონდათ არაინფექციური ენცეფალიტის მქონე პაციენტებთან შედარებით (ცერებროსპინალურ სითხეში ლეიკოციტების საშუალო რაოდენობა 54 უჯრედი/მიკროლ-ის წინააღმდეგ 10 უჯრედი/მიკროლ),

მაგრამ ცილის დონე მსგავსი იყო (საშუალო დონე 71 67 მგ/დლ-ის წინააღმდეგ). ვირუსული ენცეფალიტის მქონე პაციენტებს შორის, 83 პროცენტს ჰქონდა ცერებროსპინალურ სითხეში პლეოციტოზი (განისაზღვრება, როგორც ლეიკოციტების რაოდენობა ≥ 6 უჯრედი/მიკროლ) და 68 პროცენტს ჰქონდა ცერებროსპინალურ სითხეში ცილის მომატებული დონე (განისაზღვრება, როგორც ცილის დონე >45 მგ/დლ).

ენცეფალოპათიის სხვა მიზეზების შეფასება — ენცეფალოპათიის სხვა მიზეზების (მაგ. ბაქტერიული სეფსისი ან მენინგიტი, მეტაბოლური დარღვევები, მედიკამენტები და ტოქსინები, აუტოიმუნური ენცეფალიტი) გამოსარიცხად ტარდება დამატებითი ტესტირება. ესენია:

- სისხლის კულტურა
- ცერებროსპინალური სითხის გრამის წესით შეღებვა, მჟავაგამძლე შეღებვა და კულტურა
- შარდისა და შრატის ტოქსიკოლოგიური სკრინინგი
- მეტაბოლური კვლევები (შრატის ამიაკი, ლაქტატი და სისხლის pH)
- N-მეთილ-D-ასპარტატის რეცეპტორის (NMDAR), ვოლტაჟდამოკიდებული კალიუმის არხის (VGKC) და ანტიმიელინის ოლიგოდენდროციტების გლიკოპროტეინის (MOG) საწინააღმდეგო ანტისხეულები, თუ კლინიკურად არის ნაჩვენები.

ვირუსული პათოგენის იდენტიფიცირება — ინფექციური ენცეფალიტის გამოძიებები მიზეზები შეჯამებულია ცხრილში (**ცხრილი 3**) და უფრო დეტალურად განხილულია ცალკე.

სპეციფიკური პათოგენების ტესტირება ხორციელდება კლინიკური მონაცემების, საწყისი ლაბორატორიული მონაცემების და სხვა ეპიდემიოლოგიური გარემოებების (მაგ. წელიწადის დრო, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ექსპოზიცია) მიხედვით.

- **ცერებროსპინალური სითხის კვლევები** – ცერებროსპინალური სითხის ტესტები, რომლებიც ხელს უწყობენ ენცეფალიტის ინფექციური ეტიოლოგიის დადგენას, მოიცავს PCR და ანტისხეულების ტესტირებას [7]:

- **მულტიპლექსური PCR ტესტირება** – ამჟამად ხელმისაწვდომია მულტიპლექსური ნუკლეინის მჟავის ამპლიფიკაციის ტესტები, რომლებიც ერთდროულად ამოწმებენ რამდენიმე ბაქტერიულ და ვირუსულ პათოგენს ცერებროსპინალური სითხის ერთ ნიმუშში (მაგ. FilmArray მენინგიტის/ენცეფალიტის პანელი [BioFire]) [19-21]. სადაც ეს შესაძლებელია, PCR პანელები შეიძლება სასარგებლო იყოს ენცეფალიტის საექვო მქონე ბავშვის შეფასებისას. FilmArray პანელი 14 პათოგენს აღმოაჩენს:

ციტომეგალოვირუსი (CMV), ენტეროვირუსები, HSV 1 და 2, ადამიანის ჰერპესვირუს 6 (HHV-6), პარეჩოვირუსები, ვარიცელა-ზოსტერის ვირუსი (VZV), Escherichia coli K1, Haemophilus influenzae, Listeria monocytogenes, Neisseria meningitidis, Streptococcus agalactiae, Streptococcus pneumoniae და Cryptococcus [22].

